საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/54

ქ. ბათუმი **23 მარტი, 2023 წ**

2023-2024 სასწავლო წლისათვის პოლონეთის და საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2023 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-07/23 ურთიერთანამშრომლობის შეთანხმებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2023 წლის 21 მარტის №321972 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2023 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-07/23 ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში ვროცლავის (პოლონეთი), ბიალისტოკის (პოლონეთი) უნივერსიტეტებში და Institut d'Etudes Politiques (Sciences Po Aix) პოლიტიკური სწავლების ინსტიტუტში (საფრანგეთი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 12 სტუდენტის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე https://registration.bsu.ge/ - **2023 წლის 24 მარტიდან – 2023 წლის 21 აპრილის ჩათვლით, 15:00 საათამდე**;
ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2023 წლის 24 აპრილი, 10:00-12:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);
გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B1, B2) - **2023 წლის 26 აპრილი** (ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);
დ) გასაუბრება კონკურსანტებთან- 2023 წლის 27-28 აპრილი;

ე) ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში არაუგვიანეს **2023 წლის 01 მაისისა.**

ვ) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - არაუგვიანეს 2023 წლის 10 მაისისა.

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**